პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 177 (12993) | პარასკევი, 31 ივლისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

დახედავთ ამ სურათს და თვალწინ წარმოგიდგებათ ბედნიერი ახალგაზრდობის გმირული შრომა. ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ ეს სურათი გადაიღო მაშინ, როცა გოგონები მუშაობას იწყებდნენ.

დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ ეს ქალიშვილები — **კლარა დავითაია** (მარცხნივ) და **ლოლა არღვლიანი** ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკაში (ზუგდიდის რაიონი). ისინი ვაუკაცების მხარდამხარ გონივრულად მართავენ ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს". მათს შრომითს წარმატებებზე ციფრებიც მეტყველებენ.

თვითეულმა ამ მექანიზატორმა ქალიშვილმა დღემდე მოკრიფა 18.000 კილოგრამზე მეტი „მწვანე ოქრო". სამუშაოთა ფრონტი წინ არის, და ეს სახელოვანი ადამიანები კიდევ ათასობით კილოგრამი ჩაის ფოთლის მრკრეფას გვპირდებიან.

ბარაქალა თქვენს მარჯვენას, სახელოვანო ქალიშვილებო!

კომუნისტი წარმოებაში

კომუნისტმა შოთა ფირცხალავამ თავისი ცხოვრების 32 წლიდან ოცი წელი თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში გაატარა. ამიტომ ეს საწარმო მას თავის მეორე ოჯახად მიაჩნია და ენერგიას არ ზოგავს იმისათვის, რომ კიროველები მუდამ მოწინავეთა შორის იყონ. იგი პირველი გამოეხმაურა სერპუხოველთა თაოსნობას — ორჯერ იკისრა ჩამორჩენილი ბრიგადების ხელმძღვანელობა და ისინი მოწინავეთა დონემდე აიყვანა. მარტო უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მოწინავე ამწყობმა შეინკალმა 40-მდე რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა.

მოწინავე კომუნისტებს თბილისის ლენინის რაიონის საწარმოთა ყოველ უბანზე შეხვდებით. ისინი არა მარტო თავდადებით შრომობენ, არამედ აქტიურადაც მონაწილეობენ საზოგადოებრივ მუშაობაში. რაიონის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სრულყოფენ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მოღვაწეობას, განუხრელად ამაღლებენ კომუნისტთა ავანგარდულ როლს წარმოებაში, იზიდავენ მათ შინაპარტიულ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. უკანასკნელ ხანს პარტიული ორგანიზაციები უფრო აქტიურად იჭრებიან საწარმოთა სამეურნეო მოღვაწეობაში, დროულად ასწორებენ ნაკლოვანებებს, სთათვეში უდგანან მასების საწარმოო და პოლიტიკური აქტივობას. ამას ხასიათი შედეგებიც მოსდევს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ლენინის რაიონმა გადაკარბებით შეასრულა საერთო და სასაკონლო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმები, მიმდინარე წლის ექვს თვეში რაიონის მშრომელებმა სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს თითქმის სამი მილიონი მანეთის პროდუქცია.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ახლა თავის რიგებში 243 ათას წევრს თვლის. კომუნისტთა თითქმის სამი მეოთხედი მატერიალური წარმოების სფეროში მუშაობს და განუხრელად ასრულებს პარტიის წესდების ძირითად მოთხოვნას — გვიჩვენებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს, ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, მხარს უჭერს და ავრცელებს ყოველივე პროგრესულს, ეუფლება ტექნიკას, სრულყოფს თავის კვალიფიკაციას, უფრთხილდება და ამრავლებს საზოგადოებრივ სოციალისტურ საკუთრებას — საბჭოთა სამშობლოს ძლიერებისა და აყვავების საფუძველს.

კომუნისტთა მიერ ამ მთავარი საწესდებო მოგალეობის შესრულება უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავს მათი პოლიტიკური სიმწიფის ხარისხს, იმის უნარს, რომ პრაქტიკულად განახორციელონ თავიანთი ავანგარდული როლი.

მახარაძის საწარმოო სამმართველოს 2.650 კომუნისტი უშუალოდ მონაწილეობს მატერიალური წარმოების სფეროში. ისინი გადამწყვეტ უბნებზე მოღვაწეობენ და წლითიწლობით ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. მახარაძელები ტრადიციას არც წელს ღალატობენ. ჩაის ბუჩქების ვეგეტაციის შეფერხების მიუხედავად მათ 20-25 დღეში აიღეს ნახევარი წლის მიჭნა—მოკრიფეს 22.500 ტონა „მწვანე ოქრო".

ნამდვილი კომუნისტი - ლენინელი პირველადს პარტორგანიზაციაში ყალიბდება. ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დონეზე ბევრად არის დამოკიდებული კოლექტივის საწარმოო მიღწევები. სწორედ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში იქმნება იმის პირობები, რომ ყოველმა კომუნისტმა შეძლოს სრული ძალით გამოავლინოს თავისი უნარი და ნიჭი. შორს წაგვიყვანს იმ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ჩამოთვლა, რომლებიც ყოველდღიურად ზრდიან კომუნისტებს როგორც კომუნიზმისათვის აქტიურ მებრძოლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. დუშეთის საწარმოო სამმართველოს სოფელ გრემისხევის კოლმეურნეობაში დაბალია კომუნისტთა ავანგარდული როლი. პარტიული ორგანიზაციის ბიურო სუსტად მუშაობს კომუნისტებთან, არ ზრუნავს მათი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. ეს კი მთელ რიგ გადაუდებელ სამუშაოთა დროულად შეუსრულებლობის და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ცუდი მოსავლიანობის მიზეზი ხდება.

ნამდვილი კომუნისტი ნაკლოვანებებს ვერ შეურიგდება. მისი ბრძოლა წარმოების სუსტი ადგილების გამოასწორებლად ნაკარნახევია საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნებით და მას აქვს არა მარტო ეკონომიური, არამედ უდიდესი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობაც. საჭიროა კომუნისტები ერთსულოვნად გამოვიდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს საზოგადოებას რაც შეიძლება მეტი წაგლეჯოს და ცოტა მისცეს.

კომუნისტის, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელისა და მასების ორგანიზატორის მოვალეობაა მუდმივად მუშაობდეს ადამიანებთან, შეეძლოს იპოვნოს მათი გულის გასაღები, მიაღწიოს იმას, რომ ისინი პატიოსნად ეკიდებოდნენ შრომას, გული შეტკიოდეთ წარმოების განვითარებისათვის. პარტიის წევრს უფლება არა აქვს ასე განსაჯოს, მე ხომ კარგად ვმუშაობ და სხვა რას აკეთებს, ეს ჩემი საქმე არ არისო.

ახლა, როცა პარტია წყვეტს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდეს ამოცანებს, პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა მიაღწიონ იმას, რომ ყოველი კომუნისტი თავისი შემოქმედებით ამაღლებდეს პარტიის ავტორიტეტს, იყოს მისი აქტიური მშენებელი. პარტორგანიზაციები, კომუნისტები ღრმად უნდა ჩასწვდნენ წარმოების საკმეებს, გაზარდონ კადრების პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილი საქმისათვის. საჭიროა ყოველდღიურად ვასწავლიდეთ ადამიანებს პრაქტიკულ მუშაობას, დროზე ვახდენდეთ ზეგავლენას იმათზე, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან თავიანთ პირდაპირ მოვალეობას. პარტიული ორგანიზაციების უნარზეა დამოკიდებული აღზარდონ ადამიანები პრაქტიკულ საქმეებზე, წარმართონ და განავითარონ მათი ინიციატივა. ისინი მზრუნველობით უნდა ზრდიდნენ კადრებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ავრცელებდნენ შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობის. გაძლოლის საუკეთესო ნიმუშებს, გადაჭრით აღმოფხვრიდნენ კაპიტალიზმის ნაშთებს ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში.

პარტორგანიზაციების წინაზე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული პარტიული ძალების სწორად განაწილებაზე. საჭიროა კომუნისტები მუშაობდნენ წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, უშუალოდ იქ, სადაც წყდება დავალებათა შესრულების ბედი.

წარმოებაში კომუნისტთა ავანგარდული როლის საკითხი ხშირად უნდა დავაყენოთ პარტიული კრებების დღის წესრიგში, მას უნდა განვიხილავდეთ პარტიული განათლების ქსელის მეცადინეობაზე. საჭიროა ამ მხრივ ფართოდ გამოვიყენოთ თვალსაჩინო აგიტაცია, პრესა, რადიო, ტელევიზია.

კომუნისტს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებენ. სადაც უნდა იყოს, რა პოსტზეც უნდა მუშაობდეს, იგი პარტიის მონაწილე მებრძოლია, პირველ პლანზე მისთვის საზოგადოებრივი ინტერესებია.

ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა, რომელმაც განიხილა საკითხი — „როგორ ასრულებენ კომუნისტები სკკპ წესდების მოთხოვნებს პარტიის წევრების უფლება-მოვალეობათა შესახებ", უაღრესი პრინციპულობისა და მომთხოვნელობის ნიშნით ჩაიარა. ამ პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება ხელს შეუწყობს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, პარტიული მასების გააქტივებას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს შვიდწლედის მეექვსე წელს მნიშვნელოვანი ზღუდეები აქვთ ასაღები. თვითეული პარტორგანიზაციის, ყველა კომუნისტის ვალია იდგნენ მოწინავე ხაზზე, პირადი მაგალითით გაიყოლიონ უპარტიოები ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. მიაღწიონ უკეთეს მაჩვენებლებს, სანიმუშოდ დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი.

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ. (საკ. კორ.). საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა თავდადებით შრომობენ იმისათვის, რომ სასახელოდ გაანაღლონ ნაკისრი ვალდებულება — მოკრიფონ 9.000 ტონა ნედლეული. 26 ივლისისათვის მათ გადაჭარბებით — 105,9 პროცენტით შეასრულეს იკლისის გეგმა.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘ — ᲔᲥᲕᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ

ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ — ᲝᲠᲘ ᲓᲦᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. (საკ. კორ.). საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა ვადაზე ორი დღით ადრე — 29 ივლისისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა. ზუგდიდელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 7.991 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.986 ტონისა.

საწარმოო სამმართველოს მეჩაიეების გადაწყვეტილებაა ივლისში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ ასობით ტონა „მწვანე ოქრო" და ამთავითვე საფუძველი ჩაუყარონ ზლიური გეგმის გადაბარებებით შესრულებას.

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კპ წალენჯიხის რაიონული კომიტეტის მდივანმა ამხ. Ვ. ᲫᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐᲛ რედაქციას აცნობა, რომ წალენჯიხელმა მეჩაიეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის შემდეგ უფრო გაძლიერეს „მწვანე ოქროს" კრეფის ტემპი. 28 ივლისისათვის შეასრულეს ივლისის გეგმა — მოკრიფეს 2.400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული ნაცვლად 2.376 ტონისა.

წალენჯიხელებმა გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 400 ტონა ჩაის ფოთოლი.

ᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ. (საკ. კორ.). ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲐᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ, ᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘ, ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲫᲚᲝᲗ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲒᲠᲘᲜᲘᲡᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ — ᲛᲝᲙᲠᲘᲤᲝᲜ 9.000 ᲢᲝᲜᲐ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘ. 26 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ — 105,9 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ.

ᲛᲠᲐᲕᲚᲓᲔᲑᲐ ᲘᲛ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲩᲐᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲡᲐᲠᲘ ᲛᲔᲠᲛᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲫᲚᲝᲗ ᲡᲐᲐᲒᲠᲝᲛᲘᲜᲝ ᲓᲐᲒᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ.

ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲣᲚᲘ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲐᲡᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲛᲐᲗᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ — ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲡᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡᲐᲜᲘ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲑᲘ.

ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვისათვის სულ უნდა დამზადდეს 1.188.917 ტონა უხეში საკვები. დღემდე გეგმის მეხუთედიც არ არის დამზადებული.

ზოგიერთ რაიონში, თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება დამთავრდა, ზოგან კი დასასრულს უახლოვდება. ასეთ რაიონებში ნამჯა შედარებით ცოტაა დამზადებული. მაგალითად **თელავის** საწარმოო სამმართველოში ნამჯა და სიმინდის ჩალა უნდა მოამზადონ 28.219 ტონა, ივლისის ორ დეკადაში ჰქონდათ 1.895 ტონა, **ყვარლის** რაიონში აქვთ 8.256 ტონა ნაცვლად 21.600 ტონისა.

სოღლაღელებმა დაამზადეს 14.619 ტონა ნაცვლად 43.060 ტონისა. **გარდაბნელებს** გეგმით გათვალისწინებული 26.000 ტონიდან დამზადებული ჰქონდათ 1.713 ტონა, **გურჯაანელებმა** დამზადეს 3.498 ტონა ნაცვლად 16.667 ტონისა.

გეგმით რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს 1.127.252 ტონა წვნიანი საკვები სილოსის სახით.

მაგრამ ეს სამუშაო ნელი ტემპით მიმდინარეობს **სიღნაღის, ბოლნისის, თეთრი წყაროს** და სხვა საწარმოო სამმართველოებში.

ივლისის მეორე დეკადაში სილოსის დამზადება დაწყებულიც არ ჰქონდათ **თელავის, ყვარლის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, მცხეთის, გორის** და სხვა საწარმოო სამმართველოებს.

ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-36"

1964 წლის 30 ივლისს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-36" მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის დაწყებითი პერიოდი — 91,9 წუთი;
— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 503 კილომეტრი;
— მინიმალური მანძილი (პერიგეა) — 259 კილომეტრი;
— ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ — 49 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის:

— რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის;
— რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

ᲣᲢᲐᲜᲘ: ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲘᲧᲝ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 30 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი 30 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსკოვის საინფორმაციო ცენტრში შეხვდა საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს და პასუხი გასცა მათ კითხვებზე.

უ ტანმა განაცხადა, რომ მოსკოვში გულთადი საუბრები ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოსთან. ეს საუბრები, ხაზგასმით აღინიშნა მან, გულახდილი და სასარგებლო იყო. საუბრების დროს განიხილეთ საერთაშორისო მდგომარეობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის საკითხები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა განაცხადა: ნ. ს. ხრუშჩოვს უნდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მშვიდობის შენარჩუნების ეფექტიანი იარაღი გახდეს.

ᲣᲢᲐᲜᲘ ᲡᲐᲞᲐᲥᲢᲘᲝ ᲓᲝᲙᲢᲝᲠᲘᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 30 ივლისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი, რომელიც მოსკოვში იმყოფება, დღეს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია.

სამეცნიერო საბჭოს დარბაზში უნივერსიტეტის რექტორმა ი. გ. პეტროვსკიმ პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, საბჭოთა და უცხოელი ეურნალისტების თანდასწრებით უ ტანს დიპლომი გადასცა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორად არჩევის შესახებ.

ᲧᲘᲠᲘᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲪᲐ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალმება გაუგზავნეს ყირიმის ოლქის მშრომელებს, რომელშიც მიუღოცეს მათ დიდი შრომითი გამარჯვება — **ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ.** ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შესანიშნავი მაგალითი უჩვენეს პურისათვის ბრძოლაში. მოიყვანეს რა უხვი მოსავალი, ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებული 18 მილიონი ფუთის ნაცვლად სახელმწიფოს 19,6 მილიონი ფუთი პური მიაყიდეს. ყირიმის სოფლის მშრომელებმა გამოიჩინეს დიდი პატრიოტიზმი და გადაწყვეტეს გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს მიაყიდონ 6 მილიონი ფუთი მარცვალი.

ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲙᲐᲡᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ-36"

ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲣᲢᲐᲜᲘ: ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲘᲧᲝ

ᲧᲘᲠᲘᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვისათვის სულ უნდა დამზადდეს 1.188.917 ტონა უხეში საკვები. დღემდე გეგმის მეხუთედიც არ არის დამზადებული.

ზოგიერთ რაიონში, თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება დამთავრდა, ზოგან კი დასასრულს უახლოვდება. ასეთ რაიონებში ნამჯა შედარებით ცოტაა დამზადებული. მაგალითად **თელავის** საწარმოო სამმართველოში ნამჯა და სიმინდის ჩალა უნდა მოამზადონ 28.219 ტონა, ივლისის ორ დეკადაში ჰქონდათ 1.895 ტონა, **ყვარლის** რაიონში აქვთ 8.256 ტონა ნაცვლად 21.600 ტონისა.

სოღლაღელებმა დაამზადეს 14.619 ტონა ნაცვლად 43.060 ტონისა. **გარდაბნელებს** გეგმით გათვალისწინებული 26.000 ტონიდან დამზადებული ჰქონდათ 1.713 ტონა, **გურჯაანელებმა** დამზადეს 3.498 ტონა ნაცვლად 16.667 ტონისა.

გეგმით რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს 1.127.252 ტონა წვნიანი საკვები სილოსის სახით.

მაგრამ ეს სამუშაო ნელი ტემპით მიმდინარეობს **სიღნაღის, ბოლნისის, თეთრი წყაროს** და სხვა საწარმოო სამმართველოებში.

ივლისის მეორე დეკადაში სილოსის დამზადება დაწყებულიც არ ჰქონდათ **თელავის, ყვარლის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, მცხეთის, გორის** და სხვა საწარმოო სამმართველოებს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲨᲘ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 177 (12993) | პარასკევი, 31 ივლისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, 30 ივლისი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ულან-ბატორში გადასცა, საპროტესტო ნოტა ზოგიერთი ჩინელი მოქალაქის უხამსი ხულიგნური საქციელის გამო, რომლებიც მონღოლი და ჩინელი ველოსიპედისტების შეჯიბრების დროს, 24 და 26 ივლისს ულან-ბატორში, ამაკადად აწყობდნენ პროვოკაციებს და იწვევდნენ უწესრიგობას ველოსიპედების ტრასებზე, უხეშად შეურაცხყოფდნენ ზოგიერთ მოქალაქეს და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მილიციის მუშაკებს.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 30 ივლისი. (საკდესი). პოლონეთის მშრომელები საბჭოთა ხალხთან ერთად ღრმად დამწუხრებული არიან მძიმე დანაკლისის — მწერალ ვანდა ვასილევსკაიას გარდაცვალების გამო. დღეს პოლონეთის ყველა გაზეთი ათავსებს ნეკროლოგებსა და სტატიებს, რომლებიც ეძღვნება გამოჩენილ მწერალს.



ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ, 30 ივლისი. (საკდესი). ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბენ ბელამ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის შესაბამისად ალჟირში არსდება სამხედრო ტრიბუნალი რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებათა. მოქმედების პერიოდისათვის. ტრიბუნალი გაარჩევს იმ სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა საქმეებს, რომლებსაც ბრალად ედებათ სახელმწიფოს უშიშროების წინააღმდეგ მიმართული იმ აქტებში მონაწილეობა ან თანამონაწილეობა, რომლებიც ძირს უთხრიან დისციპლინას არმიაში და სხვა ასეთ დანაშაულებებში. ტრიბუნალის განაჩენი საბოლოო იქნება და დაუყოვნებლივ მოიყვანენ სისრულეში.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 30 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲛᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 30 ივლისი. (საკდესი). გიგანტურმა კონცერნმა „კრაისლერმა" ინგლისის ფინანსთა სამინისტროსაგან ნებართვა მიიღო, რომ შეიძინოს საავტომობილო კომპანია „რუტს მოტორს ლიმიტედის" აქციათა 30 პროცენტი. ამერიკის „ფორდსა" და „ვოსხოლს" (ამერიკის კორპორაცია „ჯენერალ მოტორსის" ფილიალი) შეემატა ახალი კონცერნი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ინგლისის საავტომობილო მრეწველობის საწარმოთა ერთ მესამედზე მეტი ამერიკის კაპიტალის ხელშია.

თემთა პალატაში დასმულ შეკითხვაზე წერილობით პასუხში ფინანსთა მინისტრმა მოლლინგმა განაცხადა: მთავრობა მხედველობაში იღებს „კრაისლერის" განცხადებას, რომ იგი არ ეცდება. შეიძინოს აქცია „რუტსის" კონტროლის პაკეტი თუ არ ექნება ინგლისის კანონების თანხმობაო.

ამ აზრით ყურადსაღებია ევროპის კონტინენტზე „კრაისლერის" გაჩენის ისტორია. ამ კონცერნმა თავდაპირველად შეისყიდა საფრანგეთის კომპანია „სიმკის" აქციების 25 პროც

რუსთაველ მეტალურგთა და თბილისელ ჩარხმშენებელთა პასუხად

მომჭირნეობა — ყველგან, ყველაფერში!

კვაისის ტყვია-თუთიის საკადრო პარტიულ-საბჭოთა კონტროლის ხელმძღვანელობა ეროვნულ ერთსულოვნად მოიწონა რუსთაველ მეტალურგთა და თბილისელ ჩარხმშენებელთა ინიციატივა

ქოიუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები აღჭურვილი არიან უახლესი ტექნიკით, შექმნილია ყველა პირობა შრომის ნაყოფიერების მაქსიმალური ზრდისათვის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ყოველად შეუწყნარებელია არარეტაბელური საწარმოები, რომლებიც ზარალით მუშაობენ და სახელმწიფოსაგან დიდ დოტაციას იღებენ.

ქარხნის რენტაბელური მუშაობის უზრუნველსაყოფად კარგი ინიციატივა გამოიჩინეს რუსთავის მეტალურგიული და თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნების პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელმძღვანობა ჯგუფებმა. ყველა საამქროში შეიმუშავეს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რაც გამიზნულია ყველა იმ საქმის მოსაწესრიგებლად, რომლებიც დღემდე აბრკოლებენ „ამა თუ იმ უბნის მუშაობას, იწვევენ გადახარჯვას. ყოველი ორგანიზაციული ღონისძიების გატარებისათვის გამოყოფილი არიან პასუხისმგებელი, ავტორიტეტიანი მუშაკები.

რუსთაველ მეტალურგთა და თბილისელ ჩარხმშენებელთა ამ შესანიშნავ ინიციატივას ფარგოდ გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქართველო და საფაბრიკო ხელმძღვანელობა ჯგუფები. ისინი კომკავშირულ „პროექტორებთან“, ეკონომიური ანალიზის საზოგადოებრივ ბიუროებთან ერთად წარმოების ყველა უბანზე სწავლობენ რეზერვებს, სახავენ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს მათი ამოქმედებისათვის.

ამ დღეებში კვაისის მაღაროთსამმართველოს კულტურის სახლში გაიმართა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელისმშენებელი ჯგუფის გაფართოებული კრება წარმოების კომკავშირული „პროექტორის“. მოწინავეთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა მონაწილეობით, რომელმაც განიხილა წარმოების რეზერვების გამოვლინების და სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვის საკითხი. საქმიანმა კრებამ, წარმოების საჭირბოროტო საკითხებზე ღრმა და სრულყოფილმა მსჯელობამ ბევრი საინტერესო გამოუყენებელი რეზერვი გამოაელინა და მათი ამოძრავების გზები და საშუალებანი დასახა.

მომხსენებელი და კამათში გამოსულნი დაწვრილებით შეეხნენ რეზერვებს, ილაპარაკეს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც შეიმუშავა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობმა ჯგუფმა და რომელთა განხორციელება მაღაროთსამმართველოს იმის საშუალებას მისცემს, რომ უახლოეს წლებში კვაისის საბადომ იმუშაოს რენტაბელურად, სახელმწიფო დოტაციის მიუღებლად.

კვაისის მაღაროთსამმართველოში სისტემატურად ხორციელდება ღონისძიებანი პროდუქციის თვითღირებულებისა და გეგმიანი ზარალის შემცირებისათვის — პროდუქციის გამოშვების გადიდების, ლითონის ამოღების გადიდებისა და წარმოების ხარჯების შემცირების გზით.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მაღაროთსამმართველოში 1964 წლის განვლილ პერიოდში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 129,1 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება მკვეთრად ამაღლდა, სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება 6 თვეში მნიშვნელოვნად შემცირდა, რის შედეგადაც გეგმიანი ზარალი შემცირებულია 41 ათასი მანეთით.

მაგრამ კვაისის მაღაროებში ჯერ კიდევ დიდია დანახარჯები. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე წარმოების დანახარჯები 10 კაპიკით შემცირდა. ახლა, როცა წარმოების რენტაბელობის საკითხი ისმის, ბუნებრივია, უნდა მივაგნოთ იმ გამოუყენებელ რეზერვებს, რომლებიც წარმოების სიღრმეში იმალება, და გამოვნახოთ მათი ამოძრავების გზები.

კვაისის მაღაროთსამმართველოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელმძღვანობი ჯგუფთა გაფართოებულმა კრებამ პროდუქციის თვითღირებულების და გეგმიანი ზარალის შემდგომი შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის უზრუნველყოფის მიზნით გადაწყვიტა:

1. წლიური საწარმოო პროგრამა 20 დეკემბრისათვის მაკანდღა.

2. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით აამაღლოს 1 პროცენტით, ხოლო ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯები 12 კაპიკით.

3. გაზომარეული ხე-ტყის მეორედ გამოყენების გზით დაზოგოს 25 ათასი მანეთი.

4. სულ, წლის ბოლოამდე, დაზოგოს 130 ათასი მანეთი.

ამ გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად განახორციელოს შემდეგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი:

1. 1964 წელს დაიდგას მთავარი გენიავების ვენტილატორი შტოლნ „კაპიტალურის“ ყელში სამადნის წლიური წარმადობის — ათეული ათასი ტონის ანგარიშით.

2. მიმდინარე წლის დამლევისათვის დამთავრდეს ვეზუელ-კვაისის წყალსადენის მშენებლობა, რათა სველი ბურღისათვის საჭირო წყლით უზრუნველყოფილ იქნას სამადნე, აგრეთვე გამამდიდრებელი ფაბრიკა.

3. სამადნის წარმადობის გადიდებისა და მომსახურე პერსონალის შემცირების გამო, კომპრესორული მეურნეობა თავმოყრილ იქნას ერთ ადგილას, ნაცვლად არსებული სამი კომპრესორული დანადგარებისა. ამასთან მოძველებული და გაცვეთილი კომპრესორები შეიცვალოს უფრო მეტი წარმადობის კომპრესორებით.

4. 1964 წლის მესამე კვარტალში საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნას შახტი „უსინათლო № 2“ ნადარბაზევის უბანზე.

5. სამადნისა და ფაბრიკის ნორმალური მუშაობისათვის აშენდეს ასეულობით ტონა ტევადობის ბუნკერული მეურნეობა.

6. განხორციელდეს ფაბრიკის რეკონსტრუქცია და გაფართოება ათეულ ათასობით ტონა წლიური წარმადობის ანგარიშით.

7. შემუშავებულ იქნას შეთოდი ტყვია-თუთიის ღარიბი მადნების წინასწარი გამდიდრებისა მადნის კონდიციურ შეცულობამდე ასაყვანად.

8. საჭირო მასალებისა და მოწყობილობის შესანახად აშენდეს სასაწყობო მეურნეობა, ლიკვიდირებულ იქნას საწყობად გამოყენებული არსებული დროებითი სათავსები.

9. გამამდიდრებელი ფაბრიკის ნარჩენებისათვის აშენდეს ნარჩენსაცავი.

10. შემუშავებულ იქნას კვაისის საბადოს სამო-გეოლოგიური პირობებში დამუშავების უფრო ეფექტური სისტემები.

11. 1965 წლის მეორე კვარტალის ბოლომდე გაფართოვდეს დავიწროებულ ადგილებში შტოლნი „კაპიტალური“ პროექტით გათვალისწინებულ კვეთამდე, სალიანდაგო მეურნეობა მოეწყოს იმის შესაბამისად, რომ მოცული მოპოვებული მადნის ტრანსპორტირება ელმავლებით ხდებოდეს.

ამისათვის დამთავრდეს კვეთმლაგების გაყვანა კაპიტალური მადანსაშვებიდან 1964 წლის ბოლომდე; გამაგრებულ იქნას კაპიტალური მადანსაშვები და მოეწყოს იქიდან მადნის გამოშვება 1965 წლის მეორე კვარტალის ბოლომდე.

12. 1965 წლის მეორე კვარტალამდე დამთავრდეს № 6-ბის შტოლნის გაყვანა.

13. 1965 წლის მესამე კვარტალის ბოლომდე ტექნიკური ექსპლოატაციის წესების შესაბამისად მოეწყოს სალიანდაგო მეურნეობა № 6-ბის შტოლნში.

14. 1965 წლის დამდეგიდან დაიწყოს შახტ „უსინათლო № 3“-ის ჭიერის გაყვანა № 6 შტოლნიდან შტოლნ „კაპიტალურამდე“ — მარაგის გამოსავლინებლად და მოსამზადებლად, აგრეთვე ადამიანებისა და ტვირთების ტრანსპორტირებისათვის.

ზემოთ მოყვანილ ღონისძიებათა განხორციელება კვაისის მაღაროთსამმართველოს შესაძლებლობას მისცემს უახლოეს წლებში უარი თქვას სახელმწიფო დოტაციაზე და მიიღწიოს რენტაბელური მუშაობა.

საგანგებო თათბირი ლეოპოლდვილში

პარიზი, 30 ივლისი. (საკდესი). გუშინ სალამოს ლეოპოლდვილში პრეზიდენტ კასავუბუს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა პრემიერ-მინისტრ ჩომბესთან, რომელიც დედაქალაქში დაბრუნდა კონგოში მოგზაურობიდან, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო კორესპოდენტი.

ლეოპოლდვილის პრესა არაფერს ამბობს ამ საუბრის შინაარსის შესახებ, მაგრამ, როგორც ჟურნალისტთა წრეებში ვარაუდობენ, ეს საგანგებო თათბირი გამოიწვია იმ ცნობებმა, რომ აჯანყებულებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს კონგოს რესპუბლიკის სხვადასხვა პროვინციაში და, კერძოდ, იმ ცნობამ, რომ პარტიზანული რაზმები გამოჩნდნენ ლეოპოლდვილის მახლობლად.

ნეიტრალური ქვეყანა იარაღდება

ჟენევა, 30 ივლისი. (საკდესი). შვეიცარიაში მოვიდა ამერიკული ჯავშანტრანსპორტერების პირველი პარტია. მთავრობამ 260 მილიონი ფრანკი გამოაყო 500 ამერიკული ჯავშანტრანსპორტერის შესაძენად, რომლებიც სავსებით შეიარაღებული და საბრძოლო მასალებით აღჭურვილი შემოაქვთ, როგორც შვეიცარიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, შვეიცარიის არმიისათვის ამერიკული საბრძოლო მანქანების მიწოდება დამთავრდება 1966 წლის დამდეგს.

გრძელა საგოლოო გამარჯვებამდე

ბრაზავილი, 30 ივლისი. (საკდესი). სახალხო მოძრაობა ანგოლის განთავისუფლებისათვის იქამდე განაგრძობს შეიარაღებულ ბრძოლას, სანამ ანგოლა სრულ და ნამდვილ დამოუკიდებლობას არ მოიპოვებს. დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ იარაღის საშუალებით შეიძლება გამოვგლეჯოთ ანგოლის დამოუკიდებლობა პორტუგალიელ კოლონიზატორებს, განაცხადა საკდესს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობის თავმჯდომარემ აგოსტინო ნეტომ, რომელიც ბრაზავილში იმყოფება.

სიძნელეთა მიუხედავად, განაგრძო მან, რამდენიმე მებრძოლი პარტიზანული ჯგუფი აქტიურ საბრძოლო ოპერაციებს ახორციელებს ანგოლის ჩრდილოეთ ნაწილში და კაბინდეში. უკანასკნელი თვეების მანძილზე ამ პარტიზანული ჯგუფის რიცხვი გაიზარდა, ხოლო იარაღი და აღჭურვილობა გაუმჯობესდა. განზრახული გვაქვს, განაცხადა ნეტომ, უახლოეს ხანს პარტიზანული მოქმედება ანგოლის სხვა რაიონებშიც გაავრცელოთ.

„რეინჯერი-7“ მიფრინავს

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. (საკდესი). ჯერჯერობით წარმატებით მიმდინარეობს ფრენა ამერიკის კოსმოსური ხომალდისა „რეინჯერი-7“, რომელიც გუშინ გაუშვეს კენედის კონცხიდან (ფლორიდის შტატი) მთვარისაკენ. დღეს დილის 6 საათზე ნიუ-იორკის დროით დედამიწიდან მიცემული სიგნალებით განხორციელდა ხომალდის კურსის კორექტირება, რაც საათნახევარს გაგრძელდა. კორექტირების შედეგები მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ იქნება ცნობილი. დაგეგმილია, რომ ხომალდზე „რეინჯერი-7“ დადგმული სატელევიზიო აპარატურის საშუალებით გადაიღებენ მთვარის ზედაპირის 4 ათასამდე სურათს.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, რომ მთვარისაკენ გაშვებულმა საბჭოთა ხომალდმა მთვარის უკანა მხარე ჯერ კიდევ 1959 წელს გადაიღო. როგორც ცნობილია, წარუმატებელი იყო ამერიკელ მეცნიერთა ცდა სურათი გადაეღოთ მთვარის ზედაპირისათვის კოსმოსურ ხომალდზე „რეინჯერი-6“ დადგმული სატელევიზიო მოწყობილობის საშუალებით.

კომუნიკე მაკარიოსის მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 30 ივლისი. (საკდესი). კვიპროსის პრობლემის გადაჭრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში კვლავ ძირითადი პოლიტიკა და საერთო მიზანია საბერძნეთის და კვიპროსის მთავრობებისა, ნათქვამია ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც გუშინ საღამოს გამოქვეყნდა ათენში კვიპროსის პრეზიდენტის მაკარიოსისა და საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის გეორგიოს პაპანდრეუს ორი დღის მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, კომუნიკეში ნათქვამია, რომ კვიპროსის პრობლემა მოლაპარაკების მსვლელობაში განხილულ იქნა „ყველა ასპექტით“, და რომ ორმა ლიდერმა მიიღო „გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხება ამ პრობლემის გადაჭრის საქმეს“.

ათენის მოლაპარაკება მიმდინარეობდა „სრული თანხმობის ატმოსფეროში და ერთხელ კიდევ ცხადყო ახლოლტური იდეტურობა შეხედულებებისა კვიპროსის პრობლემაზე“.

დასასრულ კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ საბერძნეთისა და კვიპროსის მთავრობების ძირითადი პოლიტიკა და მიზანი კვლავ ემყარება „მშვიდობის საქმისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იდეალებისადმი ერთგულებას. ხელმძღვანელობენ რა ამ სულისკვეთებით, ორივე ქვეყნის მთავრობები იყენებენ ყველა საშუალებას, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, რაითა უზრუნველყონ სრული დამოუკიდებლობა, რაც საშუალებას მისცემს კვიპროსელ ხალხს ისარგებლოს თავისი უფლებით და თავისუფლად განსაზღვროს საკუთარი ბედი“.

ბრინის ქირა მატულობს

რომი, 30 ივლისი. (საკდესი). 1958 წლიდან, ოფიციალური მონაცემებით, ბინის ქირამ დასავლეთ გერმანიაში 36 პროცენტით მოიმატა.

გავათავისუფლოთ სამხრეთ არაბეთი

კაირო, 29 ივლისი. (საკდესი). „არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის“ წარმომადგენელმა კაიროში კატან აშ-შაბიმ გაავრცელა აქ განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ არაბეთის ნახევარკუნძულის ოკუპირებული სამხრეთ ნაწილის ხალხმა გამოაცხადა საყოველთაო-სახალხო ომი იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღოს ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობას და მოისპოს მისი აგრესიული ბაზა ადენში. განცხადება მოუწოდებს მთელ არაბ ხალხებს მხარი დაუჭირონ განმათავისუფლებელ ბრძოლას და დახმარება გაუწიონ არაბეთის სამხრეთ ნაწილის ხალხს.

მაკარიოსის პრეს-კონფერენცია

ათენი, 30 ივლისი. (საკდესი). საბერძნეთ-კვიპროსის მოლაპარაკების დროს შესწავლილი იყო კვიპროსის საკითხის ყველა ასპექტი, განაცხადა კვიპროსის პრეზიდენტმა მაკარიოსმა გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე. მან დასძინა, რომ, კერძოდ, განიხილეს შესაძლებლობა მიმართონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას. ყველა საკითხში საბერძნეთისა და კვიპროსის მთავრობები სავსებით ერთი აზრისა არიან, თქვა მაკარიოსმა.

პრეს-კონფერენციას დესწრნენ საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი გ. პაპანდრეუ, საგარეო საქმეთა მინისტრი ს. კოსტოპულოსი და თავდაცვის მინისტრი პ. გარფფალიასი.

დანაშაულებრივი კონტრრევოლუცია

ალჟირი, 29 ივლისი. (საკდესი). გუშინ ალჟირის პრეზიდენტმა აქმედ ბენ ბელამ კორესპონდენტებს განუცხადა, აფეთქება ეგვიპტის გემ „ალექსანდრიის ვარსკვლავზე“ დანაშაულებრივი კონტრრევოლუციური აქციის“ შედეგი იყოო.

ბენ ბელამ თქვა, რომ ეს აფეთქება მოხდა 23 ივლისს — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის რევოლუციის დღის დღესასწაულზე, და ხაზგასმით აღნიშნა: „ეს აქციაა არსებითად მიმართული ორი მოძმე ხალხის — ეგვიპტელებისა და ალჟირელების — წინააღმდეგ და ჩვენი ორი რევოლუციის წინააღმდეგ, რომლებიც ერთსა და იმავე მიზნებს ისახავენ თავიანთ ბრძოლაში“.

მიმართა რა იმავე დღეს რადიოთი და ტელევიზიით ალჟიელ ხალხს, პრეზიდენტმა ბენ ბელამ თქვა: „ჩვენმა შინაურმა და გარეშე მტრებმა ერთხელ კიდევ ხელყვეს ჩვენი რევოლუცია, რომ შეეჩერებინათ მისი წინსვლა.

მაგრამ ალჟირის რევოლუცია, რომელსაც არა ერთი განსაცდელისათვის გაუძლია, ამჯერადაც არ დაიხევს უკან, რა უდიდესი მეცადინეობაც უნდა დასჭირდეს, რათა მოსპოს მის გზაზე აღმართული წინააღმდეგობანი.

ძირს რეაქცია და ფეოდალიზმი! გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“.

სხვადასხვა მერიდიანზე

△ კოიუნისტი ანტონიო რეილო აირჩიეს ქალაქ ნიკასტროს (კატანძაროს პროვინცია, სამხრეთი იტალია) მერად. ნიკასტროს მცხოვრებლები ენთუზიაზმით შეხვდნენ ცნობას რეილოს არჩევის შესახებ.

△ 29 ივლისს ვარშავაში ერთმანეთს შეხვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალი ელჩი პოლონეთში ვან გო-ციაუნი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი პოლონეთში ჯონ კეობტი. შეხვედრის შემდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ განაგრძობს თავისი წინამორბედის პოლიტიკას და ეცდება მშვიდობიანად გადაწყდეს პრობლემები, რომლებიც არსებობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.

△ გუნდლესტაბის საგანგებო სხდომამ განიხილა დასავლეთ გერმანიის მთავრობის გადაწყვეტილება საფოსტო ტარიფების გადიდების შესახებ. რამდენიმე საათის კამათის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ კანცლერი ერჰარდი და დასავლეთ გერმანიის მთავრობის მთელი წევრები, ბუნდესტაგმა ხმის უმრავლესობით უარყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის წინადადება.

△ 21 კაცი დაიღუპა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რკინიგზის კატასტროფის შედეგად. ჩქარი მატარებელი ასცდა რელსებს 30 კილომეტრზე იოჰანესბურგის დასავლეთით მაღაროელთა ქალაქ რანდფონტეინის მახლობლად. არიან დაშავებულნი.

△ კონგოს პროვინცია სამხრეთ კასაიში გაჩნდა ტროპიკული სალათას ძილის ავადმყოფობის ეპიდემია.

△ დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის გზებზე მიმდინარე წლის მაისში დაიღუპა 1.318 და დაშავდა 41.624 კაცი. (საკდესი).

ბონის სამხედრო დახმარება

ბონი, 29 ივლისი. (საკდესი). დპა-ს საგანგებო იუწყება, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ტანზანიკისა და ზანზიბარის გაერთიანებულ რესპუბლიკას გაუწევს სამხედრო დახმარებას 40 მილიონი მარკის ოდენობით. ამის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ჰასელმა და ტანზანიკისა და ზანზიბარის გაერთიანებული რესპუბლიკის მეორე ვიცე-პრეზიდენტის კანცელარიასთან მყოფმა სახელმწიფო მინისტრმა ლაკი სიჯანთამ.

ჩვენი პლანეტა ამ დღეებში

ყოფილი ჰიტლერელი დამცველის როლში

საზღაური გამცემლოგისათვის

ნიუ-იორკი, 30 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ე. დელგადო იუწყება:

ჯერ კიდევ არ გამშრალა ბოლანი რეზოლუციებზე, რომლებიც იწონებენ სანქციებს კუბის წინააღმდეგ, რომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს ვაშინგტონის თათბირის ყველაზე აქტიური მონაწილეები უკვე ანგარიშს უდგენენ ძია სემს. ისინი მოითხოვენ ჯილდოს „სამსახურისათვის“.

ჰაიტის საგარეო საქმეთა მინისტრმა ირენე შალმერმა პრეს-კონფერენციაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განაცხადა, ჩემს მთავრობას „იმედი აქვს არსებითი ფინანსური დახმარება მიიღოს ამერიკის შეერთებული შტატებისაგანო“. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, მან დაასახელა თანხა 100 მილიონი დოლარი, რომელიც, მისი სიტყვით, საჭიროა „განვითარების პროგრამის“ განხორციელებისათვის.

ბონი, 29 ივლისი. (საკდესი). ყოფილი სს-ელი გენერლისა და ჰიტლერელთა ჯალათის ჰიმლერის ერთ-ერთი უახლოესი ხელქვეითის ყარლ ვოლფის პროცესი, რომელიც მიუნხენში მიმდინარეობს, იქცა სასამართლო ფარსად. იგი მოაწყვეს გარკვეულმა წრეებმა, იმ მიზნით, რომ გაამართლონ ეს გამოუსწორებელი ნაცისტი დამნაშავე. თუმცა ბრალდების დოკუმენტები და მასალები დამაჯერებლად ამტკიცებენ, რომ ვოლფი მონაწილეობდა ევროპის ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებული ქვეყნების მოქალაქეთა მასობრივ მკვლელობაში, თვით ვოლფი კვლავ თავხედურად უარყოფს თავის დანაშაულს, ხოლო სასამართლოზე გამოსული მოწმეები, რომელთა შორის ჰიტლერული რეჟიმის დროს ბევრს ეკავა მნიშვნელოვანი პოსტები სამხედრო თუ სახელმწიფო აპარატებში და მსახურობდა სს-ელთა ნაწილებში, მიზნად ისახავენ დაამტკიცონ ყოფილი სს-ელი გენერლის „უდანაშაულობა“.

„მოწმედ“ გამოვიდა ყოფილი სს-ელი ბაბ-ზელვესკი, რომელსაც სამოდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. მან ბრალდებულს თავისი „პირადი მეგობარი“ უწოდა. თავის ჩვენებებში ეს „მოწმე“ ცდილობდა გაეამართლებინა მინსკის რაიონში საბჭოთა მოქალაქეების მასობრივი დახვრეტა 1941 წლის აგვისტოში ჰიმლერისა და ვოლფის თანდასწრებით და განაცხადა, რომ ის ადამიანები, რომლებსაც სს-ელები ხოცავდნენ, „მისჯილი იყვნენ“.

უეცარი „მეხსიერების დაკარგვა“ აღმოაჩნდა დაკითხვის დროს „მოწმე“ განცენმიურელს, რომელსაც ფაშისტურ გერმანიაში ეკავა ტრანსპორტის საიმპერიო საბინისტროს სტატს-მდივნის პოსტი, და, როგორც ბრალდების მასალები ცხადყოფს, „უზრუნველყოფდა“ რკინიგზის ტრანსპორტს, რათა ტრენინკისა და სხვა სიკვდილის ბანაკებში მიეყვანა ასეული ათასობითი ადამიანი.

ყოფილი გენერალ-ლეიტენანტი გერჰარდ ენგელი, რომელიც აგრეთვე გამოვიდა როგორც მოწმე, შეეცადა გეამართლებინა ჰიტლერული რეჟიმი და მის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი. იგი ამტკიცებდა, თითქოს „ჰიტლერის მთავარ ბრძანება არაფერი არ იცოდნენ ებრაელთა მასობრივი დახოცვის შესახებ“.

გამგიის მომავალი

ლონდონი, 30 ივლისი. (საკდესი). ლონდონში დამთავრდა გამბიის დამოუკიდებლობის საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენცია. ინგლისის ეს პატარა კოლონია, რომელიც აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს, დამოუკიდებლობას მიიღებს 1965 წლის 18 თებერვალს.

ახალი მსხვერპლი

ლონდონი, 30 ივლისი. (საკდესი). გუშინ პორტუგალიის სასამართლომ 65 კაცს მიუსაჯა პატიმრობა 17 თვიდან 10 წლამდე ვადით, იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლისაბონიდან. სალაზარის ხელისუფლებამ მათ დაბრალეს ცდა დაეზიანა პორტუგალიის ახალგაზდა რეჟიმი 1961 წლის ამბოხების დროს ქალაქ ბეჟეში, აგრეთვე აბრალებენ კავშირს გენერალ დელგადოსთან, რომელიც 1958 წელს პორტუგალიის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, ახლა კი სალაზარის ფაშისტური რეჟიმის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერია. სასამართლო, რომელიც ხუთ თვეს გაჭიანურდა, ყველაზე დიდი პოლიტიკური პროცესია, რომელიც პორტუგალიაში დიქტატორმა მოაწყო.

«ქენმინ ჟიბაო»: დაბრუნდით სოფელში

პეკინი, 28 ივლისი. (საკდესი). „ქენმინ ჟიბაო“ სამრეწველო საწარმოთა იმ მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახების წევრებს, რომლებიც ქალაქებში გადასახლდნენ, მოუწოდებს დაბრუნდნენ სოფელში. გაზეთი ურჩევს მათ მიბაძონ შახტ „ძიანბეის“ დაბის (სიჩუანის პროვინცია) მაგალითს.

„ამ შახტიდან, — წერს იგი, — 1958 წლიდან გულმოდგინე დაჯერებისა და ჩაგონების შედეგად სხვადასხვა დროს და ჯგუფ-ჯგუფად 700 ოჯახიდან 2.000-ზე მეტი კაცი დაბრუნდა სოფელში სასოფლო-სამეურნეო შრომაში მონაწილეობისათვის... ამჟამად შახტის ორი ათასზე მეტი მუშიდან და მოსამსახურიდან მხოლოდ 144-ს ჰყავს ოჯახი“.

სანამ ოჯახების ეს წევრები სოფელში დაბრუნდებოდნენ, ნათქვამია სტატიაში, ამ შახტისათვის „სახელმწიფოს ყოველწლიურად უნდა მიეწოდებინა 500 ათასი ტონი (ერთი ტონი უდრის 0.5 კილოგრამს. — *კორ. შენიშვნა*) სურსათი“, დაბრუნების შემდეგ კი მათ თვითონ „შეეძლათ ყოველდღე აწარმოონ დიდძალი სურსათი“.

ამა ერთი ნახეთ, ამბობს გაზეთი, რამდენი „ძიანბეის“ შახტის მსგავსი საწარმოა ჩვენს ქვეყანაში. „თუ შეძლებისდაგვარად შევამცირებთ მოსამსახურეთა ოჯახების წევრების რიცხვსაც, რამდენად ნაკლები სურსათის მიწოდება შეეძლია სახელმწიფოს ქალაქისათვის ყოველწლიურად და რაოდენ ადადიდებს სოფელი სურსათის წარმოებას!“ „ქენმინ ჟიბაოს“ მიაჩნია, რომ მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახების წევრების დაბრუნება სოფელში საშუალებას იძლევა „შესაბამისად შემცირდეს ტვირთი, რომელსაც ქალაქები და სამრეწველო-მომპოვებელი რაიონები აკისრებენ სოფელს“.

საქმის მეორე მხარეა, აცხადებს „ქენმინ ჟიბაო“, სახსრების ეკონომია მშენებლობაზე“. „1953-1957 წლებში ამ შახტში კაპიტალდაბანდება მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახების წევრებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე შეადგენდა 400 ათასზე მეტ იუანს... მას შემდეგ, რაც ოჯახის წევრებმა იწყეს სამუშაოდ დაბრუნება სოფელში, მომპოვებელ რაიონში რამდენიმე წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშების რიცხვი, მაგრამ არც ერთი საცხოვრებელი სახლი არ ამენებულა“.

„ხუდაკეი, — ამბობს გაზეთი, — თუ მართა „ძიანბეის“ შახტმა სახელმწიფოს დაუზოგა ამდენი სახსრები, რამდენ სახსრებს დაუზოგავთ სახელმწიფოს, თუ ჩვენი ქვეყნის ყველა მსგავსი საწარმო სათანადო პირობებში ისე მოიქცევა, როგორც „ძიანბეის“ შახტი მოიქცა“.

ყველა ოჯახის კეთილი მაცნე

საფოსტო კავშირის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

ჩვენს დროში ვერ ნახავთ ადამიანს, რომელიც საფოსტო მომსახურებით არ სარგებლობდეს. ფოსტას მოაქვს ჩვენთვის ახალი ჟურნალ-გაზეთები, ახლობლებისა და მეგობრების მარათები, დეპეშები, ამანათები. საფოსტო კავშირს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არის, რომ პარტია და მთავრობა ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მაქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ახლახან მიღებულ გადაწყვეტილებაში დასახულია მოსახლეობის საფოსტო მომსახურების გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებანი.

